შეტყობინება

შპს მისო „რიკო ექსპრესის“ პროკურისტის - ბატონ ლაშა ნიკოლაიშვილის (პ/ნ:01008005122) მიერ 2026 წლის 30 ოქტომბერს განხორციელდა 2025 წლის 12 სექტემბერს გამოშვებული 13 ობლიგაციის (ISIN GE2700605233) 13 000 000 (ცამეტი მილიონი) ლარის ღირებულებით შეძენა შემდეგი სეპარაციით: 5 ობლიგაციია (ISIN GE2700605233) 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ღირებულებით, 5 ობლიგაციია (ISIN GE2700605233) 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ღირებულებით და 3 ობლიგაციია (ISIN GE2700605233) 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ღირებულებით.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას და გაცნობებთ, რომ ფასიანი ქაღალდების შეძენა აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.10.2020 წლის N180/04 ბრძანებით დამტკიცებული „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნებს.

ასევე ვაზუსტებ შეძენის დეტალებს:

- პირის სახელი და გვარი: ლაშა ნიკოლაიშვილი;
- შეტყობინების მიზეზი: ზემოთ აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის მე-1 პუნქტი;
- ემიტენტის სახელი: შპს მისო „რიკო ექსპრესი“ ს/კ:205034639;
- ფასიანი ქაღალდის აღწერა და მის საიდენტიფიკაციო ნომერი (ISIN): ობლიგაცია, სნ: ISIN GE2700605233;
- გარიგების ტიპი: შეძენა. მითითებული გარიგება არ არის დაკავშირებული ემიტენტის მიერ საკუთარი თანამშრომლებისთვის აქციების განაწილებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან, ასევე არ არის დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული ბრძანების მე-9 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებთან;
- გარიგების ადგილი: თბილისი;
- გარიგების თარიღი:

1) 5 000 000 ლარი - 30.10.2026წ. (განაცხადის გაკეთების თარიღი: 27.10.2026წ.)
2) 5 000 000 ლარი - 30.10.2026წ. (განაცხადის გაკეთების თარიღი: 27.10.2026წ.)
3) 3 000 000 ლარი - 30.10.2026წ. (განაცხადის გაკეთების თარიღი: 27.10.2026წ.)

- გარიგების ფასი და მოცულობა: 13 ობლიგაცია 13 000 000 (ცამეტი მილიონი) ლარის ღირებულებით;